ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №151

2011 წლის 15 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №15 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამა"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №-15 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამა"-ში თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე